

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვილში	და გარეშე ადგილებში:	მათხოველთა:
პირთა წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —	— — — 2 —

საღირსი ერთი ნომრისა გაუზარებელია — 3 შაური.  
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

თვილში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, მალაიანის პრესბუტუდ, რეიტერის სახლში.  
თვილის გარეშე მცხოვრებთათვის აღრის: Вь Тифлисъ. Вь контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი მანქანადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძოლის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

### რედაქციისაზრად.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთ-ვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირადად ან ნომრისავე ნომრით.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროე-ბის“ ხელის-მოწერა, რომელთაც გაზე-თის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

**შინაარსი:** მმართველობის განკარგულება, კეთილშობილთ კენჭის ყრავზედ თვილისის გუბერნიისაში. — „დროების“ კორრესპონდენ-ცია: მიზიყელეები ინგილოებში. — პოლიტიკა: შარ-ცია, მეხაჯა. — ტელეგრაფები. — სახაზინო და კერძობითი განცხადება.

### მმართველობის განკარგულება.

თვილისის საფორტო სამმართველო საყოველთაოთ გამოაცხადებს, რომ ამ წელს 14 იანვარს იხე, როგორც წინა წლებში, ყოველდღე ეკიპები ივლიან თვილისსა და პოჯორს შუა. წასასვლელად ბილეთების აღე-ბა შეიძლება: თვილისში, საფორტო სამმარ-თველოში უფალი ლაზინსკისაგან, და პოჯო-რზე სასტუმროს მებატრონე ქალის ძაბისაგან. ბილეთების ფასი: გვერდზე საჯდომი ადგი-ლებისა არის 1 მანეთი, და უკან საჯდომის — 75 კაპ; ხოლო იმ ეკიპში, რომელიც ორშაბათობით გამოდის პოჯორიდან, გვერ-დზე საჯდომი ადგილის ფასი არის 1 მანეთი და 50 კაპ. და უკან საჯდომისა 1 მანეთი. ძავეკასიის სატელეგრაფო განყოფი-ლების სამმართველო საყოველთაოთ გა-მოაცხადებს, რომ ტელეგრაფის სტანცია გა-იხსნა პოჯორზე 10 იანვარს ტელეგრაფების გასაგზავნათ.

ზაკავკასიის ქალების ინსტიტუტის რევიზიისაგან. ამ წლის პირველ იანვარს ინს-ტიტუტში მოხდა აქტი იმ შემთხვევის გამო, რომ 18 მოწვეულე ქალმა კურსი შეასრუ-ლეს, პარგის სწავლისა და ყოფაქცევისათვის მიიღეს შემდეგი ჯილდოები: ოქროს შიფრი მიიღო მეფისა ბაბაშვილისამ; ოქროს მედა-ლი — მკატორინე სარაჯიშვილისამ; ვერცხლის მედალი — ანა პროჩიშვილისამ; წიგნები: სო-ფია პავლოვისკისამ, მარიამ ილიჩინკისამ, რიფ-სიმია ივანოვისკისამ, ნინო შაგუბათოვისამ და ადელაიდა ნეპოკოინიკისამ; კურსის შესრუ-ლების ატესტატები მიეცათ: ზენაიდა პრივე-ცკისას, მარიამ ტუშინისას, ნადეჟდა ტურჩა-ნოვისკისას, ანასტასია ტერ — სტეფანოვ — არა-რატსკისას, პლავდია პრეველსკისას, სოფია მანგესკისას, ნინო შარაევასას, ლიუბოვ მა-სილიევისას, მეგენია ჩეტვერიკოვისას და სო-ფია ტირიგოვისას.

3 იანვარს ინსტიტუტში წილი უყარეს იმ ქალიშვილებს, რომელნიც კანდიდატებათ შე-რიცხულნი იყვნენ სახელმწიფო ხარჯზე მისა-ღებათ. წილი შეხვდნენ აქაურ ქალებთან: ანა ილიჩინკისას, მარიამ ტუშინისას, ნადეჟდა ტურჩანოვისკისას, ანასტასია ტერ — სტეფანოვ — არა-რატსკისას, პლავდია პრეველსკისას, სოფია მანგესკისას, ნინო შარაევასას, ლიუბოვ მა-სილიევისას, მეგენია ჩეტვერიკოვისას და სო-ფია ტირიგოვისას.

კოვისას, ლილია მკისიმოვისას და ნინო ამე-ნსკისას.  
ზოგიერთს ქალიშვილებს, რომელნიც კან-დიდატებათ ირიცხებოდნენ, კიდევ შეუსრუ-ლდათ 12 წელიწადი და ამის გამო სიიდან გამოირიცხნენ 18 აქაური და 37 რუსის ქა-ლები. — აქაური ქალიშვილებთან განი-რიცხნენ შემდეგნი: მკატორინე სულხანიშვილისა, კნიაჟნა მეთეფან ხერხელიძისა, მარიამ პო-რტანოვისა, პროფანა მანუჩაროვისა, ანა-ტინა ბარბარე აბაშიძისა, მარიამ ზურაბოვისა, მარიამ ალიხანოვისა, კნიაჟნა მარიამ თუმანოვისა, კნიაჟნა ბარბარე ჯანდიერიშვილისა, მარიამ ტარსაიძისა, კნიაჟნა ბარბარე ჯორჯა-ძისა, მლისაბედ ნაცელიშვილისა, მლისაბედ შარაევასა, კნიაჟნა მართა მელიქიშვილისა, ანა ბეჟანოვისა, მეფია ბასტამოვისა, მკა-ტორინე მინასოვისა და მარიამ მაღანთარო-ვისა. — ამ საფუძვლით ინსტიტუტის რევიზ-იისთვის შემოხსენებული ქალიშვილების მშო-ბლებს და ნათესაებს, რომ წაიღონ დოკუ-მენტები იმ ქალიშვილებისა, რომელნიც ინს-ტიტუტში არ სწავლულან. მშობლებს და ნათესაებს შეუძლიან ან თვითონ წაიღონ ეს დოკუმენტები რევიზიის კანცელარიიდან და ან დაიბარონ წერილით; ამ უკანასკნელს შემ-თხვევაში სწორეთ უნდა გამოგზავნონ თავი-ანთი ადრესი.

### კეთილშობილთ კანცის-ქრავზედ ტვი-ლისის გუბერნიისაში.

მთხ მისს თვილისის გუბერნიის აზნაურობა შეკრბა დინერალ-ლეიტენანტის თავად ბაგრატიონ-მუხრამბატონის სახლის ზა-ლაში. დილის ათს საათზედ იქვე მივიდა თვი-ლისის სამოქალაქო გუბერნატორი.

იმან კანონიერი წესით გახსნა ამორჩევა და იმედი გამოცხად არამაზნაურობასხვა საქმეებს შორის, რომელთაც გუბერნიის მარშალი წინ დაუდებს განსაჯელად. მიქცევს განსაკუთ-რებით ყურღებს საზოგადო საზნაურო ბანკის დაარსებას, რადგან ეს არის იმისთანა საშუალება, რომლითაც აზნაურობა მოიპო-ვებს კეთილ მდგომარეობას არათუ ამჟამად, არამედ მომავალ შთამომავლობაშიაც.

ამას შემდეგ სამოქალაქო გუბერნატორი წაბძანდა აზნაურობითურთ სიონში დასაფი-ცებლად. ამ დღეს აქ სწირავდა მესვეი, საქარ-თველოს ეგზარხოსი. სხვა სარწმუნოების აზ-ნაურნი კი წაიღნენ თავიანთ ეკლესიებში აგრეთვე დასაფიცებლად.

მეორე დღეს 5 მაისს დილის რვა საათზედ აზნაურობის კრებამ დაიწყო მოქმედე-ბა იმ პროგრამის (\*) წესით, რომელიც წარა-დგინა გუბერნიის აზნაურობის მარშალ-

(\*) სიების და დოკუმენტების განხილვა შენიშვნისა მებრ, რომელიც ეკლესიის 117 სტ. უსტ. 0 სლუ-ბე по выборамъ. 2) განხილვა და დაბრკობება ბან-კის საქმისა: ა) უნდა დაარსდეს საზოგადო ბანკი? ბ) ბანკი რა დასაწყისებზედ უნდა დაიწყოს? 3) განხილვა იმ უწყაოფილებისა, რომელიც ვალის გამო შეიძლება აზნაურობაზე აღიძრას. ა) რომელი იმათგანი უნდა იყოს სამართლიანი? ბ). ის როგორ უნდა დაიწყოს? 4) განხილვა იმ საქმისა, რომელიც შეეხება აზნაუ-რობის გვაროვნების წიგნსა. 5) განსაზღვრა იმ ფუ-ლისა, რომელიც მომავლის სამის წლის განმავლობაში

მა, დისტიტუტის სტატისკის სოცეტრეკმა დიმიტრი ივანეს ძემ შიფანმა, რომელმაც გა-ხსნა ყრილობა შედგენის სიტყვით: „მიდრე სა-ქმის წარმოებას შევედგებოდეთ, მე თქვენ უნდა ვახაროთ: წარსულის წლის ოცდა ცხრა ნომბერს მე მეღირსა ხელმწიფე იმპერა-ტორის წინაშე წარდგომა და მისი დიდებუ-ლების პასუხის მოსმენა: „შენი მადლობელი ვარ კარგი სამსახურისთვის, ვმადლობ საყვა-რელსა და ერთგულს საქართველოს აზნა-ურობას, რომ ის ყოველთვის ასრულებ-და ჩემს იმედსა და განსაკუთრებით იმისთვის, რომ ის ასე კარგად მოქმედებდა გლუბ-ის განთავისუფლებაში. (სამჯერ ურა დასახეს).“  
„მე სრულ ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავს, მოწყ. ხელმწი, რომ გადმოქცეთ თქვენ და თქვენთან მთელ აზნაურობასაც ასე სასიამო-ვნოდ წარმოთქმული ყოველად უმოწყალები კეთილ-მზნებლობა; მით უფრო ბედნიერად ვრაცხავ ჩემ თავსა, რომ თქვენ აგრე ბრწყინ-ვალე მხარულებით მიგვებთ ჩემს შეება-სა. მაგრამ საიდგან წარმოსდგა ეს შეება? „ჩემს გულზედ თქვენ ჰხედათ ჩენთვის მე-ტად ძვირფასს ნიშნებს ხელმწიფისაგან ნაწ-ყალობებთა ჯილდოთა; ამას გარდა პირად მე ღირსი შევიქნე ხელმწიფის მადლობისა. მსე ყოველივე თქვენით შემემთხვა, მე შევიქნე თქვენგან დეალებული, ამისთვის რომ გუ-ბერნიის მარშალად ამომირჩიეთ. — და ამისთვის, რომ მართლაც თქვენმა კეთილ-შობილებამ, თქვენმა კეთილ-გონიერებამ, თქვენმა ჭეშმა-რიტად კეთილ შობილობამ მოწადინებამ მისცა ბატონ-ყმობის საქმეს იმისთანა წარმო-ება, რომელმაც განამართლა ხელმწიფის იმე-დი.“  
„პირად ჩემზედ მოღებული წყალობა აკა-დებს თქვენზედ მოქცეულს ყურადღებასა და მეც თქვენ გიძღვით გულ ახდის და ჩემს ღრმა მადლობასა. მიცი და ამისთვისაც ახლა წარმოვთქვამ თქვენს გულის პასუხსა. უფლი-დესად ვის უნდა ვმადლობდეთ ხელმწიფე იმ-პერატორის სიტყვებისათვის, რომელიც ჩვენ-თვის ასე სასიამოვნოა?“

„მას, რომ სამეფო ნამესტნიკი ძავეკასიისა, რომელსაც მუდამ უფავუსტეს გულში აქვს ყოველივე, რაც კი შეეხება ჩვენს კეთილ-მდგო-მარეობას, არაოდეს არ გადაგვადებს ხოლ-მე თავისს მადლს მფარველობას და ნიადაგ დასტურს აძლევს ხელმწიფის წინაშე ჭეშმა-რიტს ჩვენ გრძობასა. უნდა ვმადლობდეთ იმას, რომ მისი იმპერატორების უმაღლესო-ბის დაახლოებული თანამეწიფე გამგებანში თავებს იმის უმთავრესს სამართველოსა და აწარმოებს ჩვენს შესახებს საქმესა იმავე კე-თილ-შობილური თანა გრძობითა, რომელიც მუდამ ცხადდება ყოველს იმის მოქმედებაში; და ბოლოს იმასაც უნდა ვმადლობდეთ, რომ პირ-და-პირი და უმეშვეო გამყვანი მთავრობის განზრახვისა და ჩვენზედ დაახლოებული წარ-მომადგენელი უფლებისა ყოველს თავის გან-

უნდა წარმოადგინონ აზნაურობის გვარებმა გვაროვნობის წიგნი ჩასაწერად. 6) განხილვა იმა საქმისა, რომელიც წარმოსდგება წლოვანების დადებულებიდან. 7) განხილ-ვა იმ ზოგიერთი პირების განცხადებისა, რომელთაც სრული ნება არა ჰქონდათ კენჭის ყრავ დასწრებისა-თვის. 8) განხილვა განცხადებისა სტრიაშვილის გვარზე,

კარგულებაში ყოველთვის იმარხავს ურთიერ-ობის თანა შეკრულობას (solidarность) ჩვენ საზოგადო ინტერესებთან. ამ სახით არა-ოდეს არაერთარი ჩვენი საქიროება, მართლად და კანონიერად წარმოთქმული, არ დარჩენი-ლა უყურადღებოთ.“

„მხოლოდ ამისთანა გარემოებას შეეძლო ჩვეყენებინეთ იმისთანა მდგომარეობაში, რომელმაც მოგვიბოვა ყოველად უმოწყალები ხელმწიფის კარგი აზრი. მს ჩვენ გვამხნეებს ჩვენს მომავალს საქმეში.“

„თუ მე არ ვსცდები და ამ სახით მართლად წარმოსთქვი თქვენი აზრი, მაშ უსაცილოდ თქვენც ინებებთ იმის გამართლებას დაწესე-ბულების ფორმითა.“ (\*)

ამას შემდეგ ყრილობა თორმეტ საათამდე გავრძელდა და აქ განიხილეს და დაბოლო-ვეს ის საქმეები, რომლებიც შეეხებოდნენ პროგრამის პირველს პარაგრაფსა. მეორე სა-ქმე ბანკის შესახებ, რომელიც უფრო საინ-ტერესოა საზოგადოებისთვის, უნდა განსჯილ-იყო მეორე ყრილობაში, რომელიც 6 მაისს საღამოს 8 საათზედ დაიწმნა.

(შემდეგი იქნება).

### „დროების“ კორრესპონდენცია.


მიზიყელეები ინგილოებში.

ხალხების ერთმანერთში მისვლა მოსვლა, ამბობენ მსწავლულნი, ძლიერ სასარგებლოა. მს მეც ამ გვარათ მრწამს; როდესაც ერთი ხალხი მეორეს ვერ იცნობს, არ იციან მიყოლა, მაშინ ერთმანერთს ბევრს ცილს სწამებენ და თუ იცნობენ ხალ-ხის ხასიათს, ჩვეულებას და მიმართულებას, მაშინ იმათ ურთიერთ შორის სიყვარული მყარდება. სასიკვდილოდ მტრობდნენ მაგ-ფრანტუზები და ანგლიელები ერთმანეთს, ვიდრე ცნობა არა ჰქონდათ, მაგრამ როდესაც გაიცნეს, გამართეს ურთიერთ შორის ვა-ჭრობა, დაიწყეს ერთმანეთში სიარული, მაშინ ნაცვლად სიძულვილისა ჩამოვარდა მათ შო-რის სიყვარული. მაშასადამე ქიზიყელების ინგი-ლოებში სიარულმაც, როგორც ზემოაღნიშ-ნისა, სარგებლობა უნდა მოუტანოს ორივეს, ინგილოებსაც და ქიზიყელებსაც; მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ, ჩვენ წინააღმდეგსა ვხედავთ: ქიზიყელების საინგილოში სიარულით დიდი სამწუხარო ზარალის მეტი არაფერი გამოდის. რაში მდგომარეობს ეს ზარალი, რით აფ-ნებენ ქიზიყელები ინგილოებს, საქრისტიანო და სახალხო საქმეს, — მე ახლა ამაზე მსურს შეველაპარაკო მკითხველს.

ზაფხული დადგება თუ არა, მაშინვე ასო-ბით და ორასობით დაიწყებენ ხოლმე ქიზი-ყელები საინგილოში სიარულს. მსენი, რასა-კვირეელია, ყველანი თავის სისაწყლეს გამო-ჰქცევიან და ეძებენ აქ სამუშაოს; მრავალი იმათგანი სამკალს რომ გაათავებენ, ზოგნი მოჯამაგირეთ უდგებიან ინგილოებს და ზამ-თარ — ზაფხულ იმათთან ჩიბიან, ზოგნი ცუდ — უბრალოთ დაეთრევიან აქა-იქ, ზოგნი კიდევ საყდრის ყარაულებათ დგებიან. მაგრამ უნდა კი მოგახსენო, მკითხველო, რომ ეს

(\*) ამ დაწესებულებას პროტოკოლის სახით ხელი მოაწერეს ყრილობაში დამსწრე აზნაურობამ.





ქართველები შეადგენენ ზარმაცობის გუნდს, რომელნიც დღითიდღე იკვებებიან. წავლენ, ორ დღეს უშველიან ინგილოს, გამოართმევენ ერთს კოლს პურს, მერე, ვიდრე ამას არ მოარჩებინან, აღარ მუშაობენ.

აგრეთვე მოდიან დედა-კაცებიც თავიანთ წერილი ტრეტველა შეიღებოთ, რომ რა არის, იშოვონ ამ უხე ქვეყანაში სახსარი ცხოვრებისა. ზარდა ამისა არაან ისეთნიც, რომელნიც გამოთხოვილან ინგილოს კაცთან. ამათ მოჰყოლიათ ყმაწვილები, რომლებზედაც ტანსაცმელს თვითთა პერანგის მტეს ვერას იხილავთ: არც ფეხზე ქალამნები, თავ-შეშველნი და გულ-გადაღალულნი დატრევიან. ამათში, რასაკვირველია, ზოგი ეაქია და ზოგი ქალი. ინგილოები დედასათვის მოყოლილ ვერ-ქალს რიგინათ უვლიან, ვაჟებს კი არა; მიზეზი ის არის, რომ მათში ქალები ცოტანი არიან და ვაჟები კი ბევრნი. ზარდა ამისა ისინი ქალებს ფულზედ ჰყიდიან, ვაჟებს კი აბა რას გამოარჩებინან! მაგრამ იშვიათად კი იქნება, რომ იმათაგანს ვისმეს ეცოცხლოს; რადგან ამ ქვეყანაში ხილი ბევრია, ისინი დაურიდებლათ მგელი-კაცსავით ღოღამენ მკეხესაც და მოწვეულსაც; ეს იმათ სცდის, ამის გამო ისინი ხდებიან მსმენებლათ თავიანთ სისუნჯისა, ქუჭკისა და უწმინდურებისა.

მიზიცილი ამ ქვეყანაში რომ გადმოვა აღარა ჰსურს მიზიცი დებრუნება. ბევრს იმითგანს ქართველი ქალი შეურთავს და მოსულა, აქ ცხოვრებს, სადაც იმას შეუთვისებია ინგილოს ხასიათი, ჩვეულება, ცრუ მოარწმუნება და ენა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, მღვდმარობს ქვეყნის სიმდიდრეში: ის აქ ძლიერ ადვილათ შოვობს საცხოვრებელს; რასაც დასთესავს, იმედი აქვს, რომ არ დაეკარგება; იმათი მიწა-წყალი კი, როგორც ამბობენ ისინი, ხმელია; მოსავალი, თუ წვიმები არ დადგა, უთუოთ წახდება. ინგილოების მიწა კი, რაგინდა უმოსავლობა იყოს საქართველოში, მაინც ისე არ გაძუნდება, რომ მთესველს იმდენი არ მისცეს, რომ იმას წლითი წლობამდე არ ჰყოფნიდეს.

შველზე უფრო საძუწხარო ფაქტი, რომელსაც ჩვენ ქიზიყელებში ვხედავთ, ის არის, რომ ისინი სისაწყლისა გამო დამბლანი გამხდარან. წარსულ ზაფხულში ერთმა დამბლა მოხუცმა მეწისქვილე ლეკმა სამს ქიზიყელს სცემა, რომელთაც ცხვირიდამ სისხლი დასდიოდათ; ნაცემ—ნატყუებმა ქვეხასთან იჩივლეს, ამ დროს მცა აქ დახვდო, მაგრამ მერჩინა კი, რომ ეს ამბავი არ შემეტყო. ამ შემთხვევამ მე ისე შემაწუხა, რომ სამი დღე სულ ამაზე ვიფიქრე, მე მტანჯავდა ის აზრი, რომ ჩენი ხალხი, რომლის ვაჟაკობაც უწინ გათქმული იყო, დადამბლავებულა. ბოლოს და ბოლოს გული ამით დავამშვიდე, რომ ვიფიქრე: ჰერკულესსაც ასე მოუვიდა შემდეგ თავის დღის დეწლისა მეთქი და თუ უწინდელის ქართველების ვაჟაკობა იმის ვაჟაკობასთან შეგადარებია, მაშინ გული, რასაკვირველია, დამშვიდდება, რადგან იმედი გვექნება, რომ ის ისევე გაიღვიძებს; მაგრამ როგორღაც ვეჭვი მომდის. ხალხი, რომელიც ვერა გრძობს თავის ყოფობას, თავის ხაღხობას, რომელსაც დაუკარგავს სახლობა ამპარტავანება, და არ უმტკიცებს თავის არსებობას სხვა ხალხებს მოძრაობით, ის ხალხი, ჩემის აზრით, ჩქარა მოკვდება. მე ეს აზრები ძლიერ მატყენდენ გულსა; რასაკვირველია, მეწყინებოდა. ამ გვარ თვინათ ლაჩრობით ისინი თვინათ თავს აძლევენ დიდ ზარალს, ასე რომ იმათ დამბლა და განადგურებულ ხალხათ რაცხვენ ინგილოები, ლეკები და მულალები. ამის გამო იმათ არაერთარი პატივი არა აქვთ ზაქათლის მახრაში.

ამ ქიზიყელებს თვინათ სისაწყლისა და სიღარიბის გამო დაუკარგავთ კაცური გრძობა და სარწმუნოება, რომელიც გლეს კაცს იქერს საზოგადოების კეთილ-დღეობის კანო-

ნების საზღვარში. ამათ ჰამის მეტი არაფერი ახსოვთ, და თუ ერთი კაცი დაჯდა სადილათ, ხუთი პურითაც ვერ გაძლება. მრავალი მათგანი, შეწუხებული სიღარიბისაგან, გმობს ლმერთს და თავის კაცობას; თავის სიღარიბეს და უბედურებას ის ლმერთს აბრალებს; ის კი არ იცის იმ უბედურის შეიღობა, რომ ლმერთი წმინდა არსება არის, ამისგამო ის არაოდეს თავის თავზე ბრალს არ დაიდებს. ქაცი თუ ღარიბი და საწყალია, თავის გაურჯელობით არის ღარიბი. ლმერთი ამბობს: „მაისარჯე და მცა შეგვეწვიო; თუ შენ არ იმხნევებ და არ გაირჯებიო, ვერც მე მოგიმართავ ხელსაო.“

ინგილო ხედავს, რომ ქიზიყელი საქონელს გამჩენს ულანძღავს, გადმოდის ამ ქვეყანაში, თავს იპარსავს, ეკლესიაში აღარ დადის და ჰგმობს ქრისტიანობას, ვითომც ის იყოს მიზეზი, რომ იმას თავის ქვეყანაში ტყავს აძობენ თავისი მოძმენი, უკანასკნელ მაჰმადიანდებთან და აღარ კადრულობენ ქართულს ენაზე ლაპარაკს, მაშინ ინგილო ძლიერ ჰწუხდება. ზარდა ამისა ქიზიყელი ავრცელებს ინგილოებში მავნებელ აზრებს მღვდლებზე და მთავრობაზე. ის ეუბნება იმათ: „მოვა დროო, როდესაც მღვდლები თქვენც იმას გამოგართმევენ, რასაც ჩვენ გავართმევენ; მოვა დროო, როდესაც მღვდლები თქვენსავე მკვდარს თქვენვე მოგყიდიან, და მაშინ შეიტყობთ იმათ კაი კაცობას. ახლა ისინი ჯერ თქვენ არაფერს გართმევენ, რადგან ახალი მონათლულები ხართ და ხელმწიფე იმათ ჯამაგირს აძლევს. როდესაც თქვენ დამველდებით, თქვენ დაიხრცებით და თქვენი შეიღებები დარჩებიან, მაშინ ის მწუხარება, რომელიც ჩვენ გავდგა მღვდლებისაგან, იმათაც დაადგება, ამისათვის რომ ხელმწიფე იმათ ჯამაგირს აღარ მისცემს და იმათი ცოლშვილს შენახვაც თქვენ გემართებათ. მაშინ, როგორც ახლა ჩვენში, იქნება ინგილოებში ერთი კაციც აღარ იყოს, რომ მღვდლის ვალი არ ემართოს, და კოდი პურისათვის ის გლესს დღეში ერთხელ იასაულს არ უგზავნიდეს. ეს კიდევ არაფერია. მე რომ მიზიყე ვინმე ჩემისიანი მომიკვდეს და ჩემ სიღარიბისა გამო ამ ხელათ მღვდელს სამარხი ფული ვერ მიეცე, მაშინ მეორე სიკვდილი რომ შეგვემთხვას, ვიდრე პირველის მკვდრის სამარხს არ მიეცემ, უკანასკნელს არ დამისაფლავებს და არც შეიღს მომინათლავს. აი ეს ყოველი-ფერი უსიამოვნება და გამწარება, ეუბნებიან ქიზიყელები ინგილოებს, თქვენ შეიღებსაც დაადგებათ.“

ეს ამბავი ბევრჯერ გაუგონებიათ ჩემთვის ინგილოებს და წარმოუთქვამთ თავისი შიში: „მაიმე, რა გვეშველებოა, მართლაც ასე რომ მოჰხდესო.“

ამას რომ იტყობს ინგილო ქართველის კაცისაგან ძლიერ წუხდება და ფთხდება. მოველფერ უსამართლობას იმ სარწმუნოებას აბრალებს; ამის შემდეგ ის ეჭვით უყურებს მღვდელსაც: მას აღარ რაცხს თავის სულიერ მამათ; ამია შემდეგ მას ეზიზღება აგრეთვე ქართველებიცა, აღარც იმათ რაცხს თავის მოძმებთ, „ქუჭკია“ ქართველს უწოდებს. აქ მოსული ქიზიყელები მართლაც ასეთნი არიან. ინგილო ათ დღეში ერთხელ მაინც გამოიცვლის ტანისამოსს, ქიზიყელს კი ზედ ჩამოაღებდა და ერთხელ არ გაარცხინებს, გარეცხის მაგიერათ, როდესაც მკენარი შეაწუხებს, თანეში ჩაიბღერტავს, და მკენარი მოშორდება; მაგრამ ქუჭკის კი არაფერი ეშველება. იმათ საუბედუროთ, ინგილოები ამის ნებასაც არ აძლევენ: ისინი ყოველთვის გაკვირვებით იტყვიან ხოლმე: „თონეში პერანგის ჩაბღერტა როგორ შეიძლებაო, მკებრანი ხომ შიგ ჩაეარდაო და თონე გამურდლდაო; მერე პურის გამოცხობა იმაში როგორღა შეიძლებაო.“ ამ გვარ უწმინდურებით ქიზიყელები აძლებენ ინგილო-

ებს თვინათ თავს, რადგან ამ გვარ ქცევას ინკლოები ძლიერ დიდ სიბილწეთ და ცოდვათ რაცხვენ. ამ მიზეზისა გამო, რომ ამბობენ: „პურს მაღლი აქვსო.“

რადგან ჩვენ მოგვიხდა ლაპარაკი ინგილოებში მცროვრებ ქიზიყელებზე. ამისათვის ჩვენ ვიტყვით კიდევ რამდენსამე სიტყვას იმათ უწმინდურ ცხოვრებაზე, რომ რა არის ჩენი სტატია შემოგვეცნათ.

სიკვდილის თაობაზე მე მომიხდა სამს ინგილოს სახლში შესვლა, რომლებიც ცოლებიც ქიზიყელი ქალები იყვნენ. რა ენახე მე იქ? სიჭუჭყე, სიბილწე და სიმყარაღე, ერთი სიტყვით, ყოველი ფერი უწმინდურება. შინ კარებს უკან მოგროვილი ნაგავი, გაწეწილი ქამისი ბუმბული, ნესვის და ყარაფუზის ნაფცქენები, ცეცხლაპირში ნაღარი ბევრი გაშლილი, ისე რომ მე ვიფიქრე: „ცოლ-ქმარს ნაცარ-ქეჭობა ხომ არ უთამაშნიაო.“ მს კიდევ არაფერი. ცეცხლა-პირის ერთ მხარეს ეწყო მუშტის ტოლტოლა ნესვები, რომლებსაც სახლის ერთი მხრის ნახევარი ეჭირათ. ამათში თითქმის ერთს ვერ იპოვიდი რიგინას, უმეტესი ნაწილი დამბალი იყო, რისა გამო სახლები ყარდნენ. მესამე სახლში კი მე, სხვათა შორის, სხვა გვარი უწმინდურება ენახე. მს იყო სოფ. ზაფანში. პირველს იანვარს 1867 წელს მე მოხვედს მიცვალბულის დასაფლავება. მე თუმცა იქაური მღვდელი არა ვარ, მაგრამ რადგანაც მღვდელი სოფელში არ იყო, მე წავედი. მიცვალბული ქიზიყელი დედაკაცი დავსაფლავე, და როდესაც მოგბრუნდი, მაშინ სახლის პატრონმა და რამოდენიმე ქართველმა დედა-კაცებმა მე სახლის განათვლა მოხვედეს. წყლის მოტანა ცოტა დააგვიანეს. ამისგამო მე სახლს შინჯვა დაუწყე, და აი სხვათა შორის რა ენახე: შესავალ კარებ ქვემოდამ წინა დღე სამ საათს დაბადებული თავ მოჭრილი ჩჩილი ყმაწვილი. მათი ერთ მხარეს ევღო და ბუდე მეორეს. პაწაწინა ხელების თითები საწყალს მოეკაცა და ფეხებიც ბაყყასით გაეფარჩხა. მე ელდა მეცა, ეს რომ ენახე. მე ჩჩილის მამას გაუჯავრდი, და მე იმან რა მიპასუხა და რა მიზეზისა გამო ის საცოდავი ბართდაეკლათ, მეორე სტატიაში მოვხსენებ მკითხველს. ამ ჟამად მე იმას ერთ რასმეს ვკითხავ. მინ არის მიზეზი იმისა, რომ ჩჩილი მეორე დღეს შუადღემდისაც ვერ დავსაფლავებინათ? მინ არის მიზეზი, ქმარი თუ ცოლი, რომ მოხსენებული ინგილოების სახლებში ყოველი ფერი სიმურტლე იპოვება? იქნება, შენ მიპასუხო: „ამ საქმეში ქმარიც მონაწილეო, ცოლ-ქმარნი ხომ ერთად ცხოვრობენო, თუ ქმარს სიწმინდე ყვარებოდეს, განა ვერ უბძანებდა, რომ იმას სახლი წმინდათ დაეკიაო.“ მს კარგი; აბა ახლა მაშ ის იფიქრე. მკითხველო: სადამოხვდ ცოლ-ქმარმა ვაზნაში მიირთვეს, დილით აღრია-ნათ ქმარი სამუშაოდ წავიდა; სახლი ცოლს ჩააბარა და მან უნდა მოუთაროს, რადგან მას აბარია. ბუშინდელი დაგვილი სახლი დღესაც უნდა დაიგოს, ჩიწმინდას, ქურჭელი დაი-რეცხოს და ნაგავი გადაიყაროს. თოლმა ეს ყველაფერი არ ასარულა და ქმარი საღამოს ახალ სახლში მოვიდა და ნახა ყოველიფერი უწმინდურება არსებობს სახლში. აბა ამ შემთხვევაში მინდორშიაც და სახლშიაც ხომ ის ვერ იქნება: მინდორი კაცისა, სახლი დედა-კაცისა; ქმარმა რა ქნას, რაში არის დამნაშავე. თოლს ხომ აბა მაშ ის ტყავს ვერ გააძრობს: ელაპარაკება და მას არ ესმის და არც ცემით შეიყვარებს ის სიწმინდეს. მე შემიტყვია, რომ თუ ქიზიყელს ქალს სცემა ქმარმა, ამბობსო: „ღამკა, შე მამაძალო, მუშტი შენა გტყივა და მე წელი არაო.“ მაშასადამე აი იმაში, რომ თავმოჭრილი ყმაწვილი მეორე დღესაც საღამომდე არ იყო დასაფლავებული, არის

დამნაშავე დედაკაცი და არა კაცი. მს სახლის პატრონი დედაკაცი მოკვდა, რომ ქიზიყელმა ცალთვალა ბებია რატომ არ უბძანა მანშინვე დავსაფლავებინათ მკვდარი ყმაწვილი. მს ხომ იმის საქმე იყო, კაცების ამარად იმას რათ ავდებდა. ზარდა ამისა, დედაკაცის სიკვდილზედ, რადგანაც ზოგანში სამი კომლია ქრისტიანი სულ, ქართველი დედაკაცები და კაცები მოსულ იყვნენ. ამათაგანმა ერთმა მაინც როგორ ვერ დაინახა. არა, დაინახა, მაგრამ არ დასდია, ყური არ მიუგდო, რადგან ქუჭკი უყვარს.

ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი: „დაჩვეულს ნუ მოაკლებო, დაუჩვევარს ნუ დაჩვევო.“ სიბილწეში და სიმურდლეში არის გაზრდილი და ამგვარად ატარებს თავის ცხოვრებას, და ამითი აზიზღებს ინგილოებს თავის თავს.

მე შემოთა ვსთქვი, რომ ბევრი ქიზიყელთაგანი, რომელნიც შემოჰკვდლებიან ინგილოებს, მაჰმადიანდებიან მეთქი, ეკლესიაში აღარ დაიარებიან, არ გააჩნიათ არც უქმე და არც სადა დღე და ქართულს ენაზედ ლაპარაკაც აღარ კადრულობენ. ამის დამტკიცება ძნელი არ არის. ძრისტე შობის დღეში ერთ ქიზიყელი ურემს უყეთებდა ეკლესიის სტაროსტას. იმან დილითვე აღრიან იმას უთხრა, რომ ამ ბედნიერ დღეს არ ემუშავნა. მიზიყელმა ყური არ ათხოვა. მისკარი რომ გამოვიდა ინგილოებმა მითხრეს: „მღვდლო, შენ გყარებ, რომ ჩვენ წირვა—ლოცვას არ დავაკლდეთ კვირასაც და ამ გვარ უქმე დღეებს არ ვიმუშავოთ; ეს ძლიერ კარგია, მაგრამ თუ ქრისტიანობა მართალიაო, დღეს ქართველი შენ თვალწინ რათ მუშაობო, თუ ეგენი არც ეკლესიაში ივილიან და კიდევაც არ იმუშავებენ—ჩვენ რაღა ვართო; თუ სა-მუშაოზედ არ წაველთ, შინ მაინც დავსხდებით თბილათაო.“ მე რომ ეს ამბავი შევტყე, მაშინვე ვაეკვანე იმ კაცისაგან და უთხარი: „მომბილო, დღეს ძრისტეს—შობა გახლავთ და ნუ მუშაობ, ინგილოები გზედვენ და გული უტრუფდებათ ქრისტიანობაზედ.—შენ მათ ცულ მაგალითს აძლევ. ამასთანავე მაჰმადიანები დავეცინიან ჩვენ ქრისტიანებს, რომ უქმე და სადა დღე არ გაგაჩნია. მს მაინც და მაინც მუშაობა გინდა და არ დაიშლი, ნება მომიცია, წადი მოუთარე სადმე და იმუშავე, და მერე შენ იცი და შენმა სენი-დღისმა.“ მე იმან არ გამოგონა და მიჰყო ხელი თავის სამუშაოს. მართალია, ნათქვამია: „მეტეს-მეტმა სიწმინდემ ტრაპიზონი დააქცი-აო,“ მაგრამ ამასთანავე ისიც არის ნათქვამი: „აი მუშა კვირადღს გამხნევედებო.“ რა იყო, რომ ამ დღეს იმას არ ემუშავნა და ინგილოებისათვის ცული მაგალითი არ ეჩვენებინა, შემოსულიყო ეკლესიაში, პირჯვარი ეწერდა და ისინიც გაეხსენებინა.

შორალანში სულ დედაკაცი და კაცი ორმოცამდე იქნებიან, და სამ ქართველის მეტი კი საყდარში არაეინ იყო მათგანი. ინგილოებმა ეს, რასაკვირველია, კარგათ იცოდნენ და უთხრეს იმ სამს ეკლესიის ყარაულს: „თქვენ ინგილოებს დასცინითო, რომ დღეს მოჭრისტიანდებიან და ხვალ ისევე მიიტყვიან ხოლმეო; თქვენ უფრო დასაძრახისი არა ხართო: მოდინართ ამ ქვეყანაში და მუსურმანებს ურწმუნოთ აჩენებთ თავსაო; თქვენ რომ მტკიცედ იდგეთ სარწმუნოებაზედ, ჩვენც წელი გაგვიმარტებოდო და არც მიტყუელნი ინგილოები მიიტყუოდნენო; თორემ ეხლა ჩვენ იმედი არა გვაქვსო, რომ ქრისტიანობას მუდამ ექმნება ზაქათლის მახრაში სიცოცხლე, ამისათვის რომ თქვენი კაცებიც და ქალებიც აქ რომ მოდიან, მაჰმადიანდებიანო.“

რაც შეეხება ქიზიყელების გამაჰმადიანებას მე ვიტყვი, რომ ჯერ მართლ შორალანში ორ

(\*) ამ სახლში ორი მამა ცხოვრებდა და ორივე ქიზიყელი ქალები ჰყენდით ცოლებათ.



ქალი არის გამაჰმადიანებული და ერთი ვაჟი. მათი მიხითში დაიარებოდა და შორანს სწავლობდა. მე რომ ეს ამბავი შევიტყუე, იმას გაუჟავრდი. ახლა ის აღარც ეკლესიაში დადის და არც მიხითში: ცხოვრებს თავის მიტყვეულ გერ-მამასთან (მამინაცვალთან).

როგორც ეს ვაჟი, ერთი ქალიც თავის ქვრივ დედას გამოჰყოლია, როდესაც იმისი დედა ინგილოზს მისთხოვებია. არის გაზდილი თავის გერ-მამის სახლში, რომელსაც მერე ინგილოზათვის მიუთხოვებია. როდესაც ინგილოზები მიიქცნენ, მაშინ ამანაც თურმე გამოაცხადა თავისი მამა-დი-ნობა. ეს ამბავი დედამ რომ შეიტყო, თურმე უთხრა: „ქალო, არა გრცხვენინან, ქართველ კაცის ქალი ხარ და დღეს თათრები. შენ ჩემი ქალი არა ხარ? მე შენი დედა არა ვარ? მე შენ ვერ მოგცემ მაგის ნებას და არც შეიძლება შენი მიქცევა.“ ამის გამო იმას თავის შეილობრივი მოვალეობა დედისადმი თურმე დააფიქცა და აი უსირცხვილოდ რა უპასუხა: „მე არც შენი ქალი ვარ და არც ბეგიაშვილისაო, მე ვარ ქართველი ლეკის ქალი. შენ რომ უბედურება გეწია, ქმარი მოგიკვდა, ქარვლია ლეკმა შენთან იარა... და მამასადამე მე ვარ ქართველი ლეკის ქალი და მუსულმანი, და არა ქართველი და შენი ქალი.“ ეს ქალი ახლა მუსულმანია. არიან აგრეთვე გამუსულმანებული ქიზიყელი ქალები და კაცები სხვა სოფლებშიაცა, მაგალ. მოსულში, მასხალაში და ძახში, ანუ უფრო უკეთა ესთქვათ, კახელების ბინაში—ქარებშია. ამ ბინებზედ ერთხელ მე და ერთმა წარჩინებულმა ქართველმა ავიარეთ. ეს იქანე ქართველი წინ შემოგვხვდა. ამის მიქცევა, რასაკვირველია, მე ვიცოდი და განგებ ამ ჩემ ამხანაგს გამარჯვება ვაძქვეინე: იმან ხმა არ გაგვცა და ცოტა რომ გაგვეცა, შემოგვძახა: სალამ მალეიქუმ“ (თათრ. გამარჯვება). ამ კაცს თავი აქვს მოპარსული და თათრულათ კიკილოები შენახული. ძახელები ამ კაცზედ ყოველთვის გაკვირვებით ლაპარაკობენ: ჩვენ რომ იმას ვეტყვიით: „რატომ შენ ქვეყანაში არ მიდიხარო, ცოლ-შვილისათვის თავი რათ დაგინებებიაო, არა გსურს იმათი ნახეო, ის გვიპასუხებსო: მე მუსულმანი ვარო, და რა მიინდა, რომ წაიდე ძიზიყშიაო; ჩემი ქვეყანა ახლა ეს არისო და ცოლიც აქვე უნდა შევიერთოო; მე ქართველი აღარა ვარო: ქართველის დედაც და სჯულიც ასე და ისეო.“

მე თვალთა ვხედავ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარი კაცები ძლიერ ბევრნი იპოვებიან ზაქათალის მახრამში, ისინი, რასაკვირველია, მიმალულან აქა—იქ, და მუსულმანები ძლიერ ესარჩლებიან იმათ, და ამით მე მაფიქრებენ.....

შოველი სხეული ნაწილებისაგან შესდგება. აგრეთვე ყოველი საქმე ფაქტების მოგროვებაზედ არის დამოკიდებული. ეს ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები იქნება ზოგიერთს არაფრათ ეგონოს და სთქვას: მაგათგან კაცს არც დასაცხება და არც შესცივაო, მაგრამ მე კი ვიტყვი, რომ გლებ—კაცს ძლიერ მოკლე ჭკუა აქვს; ის ხანდისხან ერთს ფაქტზედ აშენებს თავის მომავალს და სხვას არას ფიქრობს. აი ამისათვის კიდევ არის ნათქვამი, რომ გლებ—კაცს ჭკუა თვალში აქვსო. ინგილო რომ ხედავს ქიზიყელის ამ გვართა ქვეყანა დაუყოვნებლივ წყევტავს: „თუ ქიზიყელს, რომლის ქრისტიანი მამა გუშინ მომკვდარა, და მე კი ჯერ გუშინ მოვიწათლოე,—არა ჰსურს ქრისტიანობა, მე რაღათა მესურვება ისაო.“ მართი სიტყვით, რაც მე აქა ვთქვი, ამას ყოველფერს ცული მოქმედება აქვს ინგილოებზედ. სხვათა შორის ესენი ერთი მხრით უშლიან ქრისტიანობის გავრცელებას ინგილოებში, მეორე—ინგილოების დასალოვებას საქართველოს ხალხთან, იმათს იმათთან შეერთებას. აი ამის გამო მე ამ ქიზიყელებს ვეტყვი

უკვდავის რუსთველის პოეტის ნათქვამს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძარხას სიკვდილისა ხელოვანი.“ იმათ ურჩენიათ იმას ეცადნენ, რომ ინგილოები მიიხზრონ; თავიანთი ძველადგანვე დაკარგული ძმები იპოვონ, და არა წიხლის კვრით უკანვე უფსკრულში აგდებდნენ. ძლიერ სირცხვილია, რომ დაკარგულმა ძმამ დაუკარგავი ძმა მოძებნოს და იპოვოს,—ამ უკანასკნელმა კი იმას უთხრა: „ძმაო, შენ მე რას ვეძებ, მე თვითონ მსურს, რომ შენთან დავიკარგო.“ მე ვცდილობ, რომ ინგილომ თავისი ძმა ისევ იცნას, ქული მოუხადოს და გამარჯვება უთხრას; ეს ქიზიყელები კი შოდინან, აქ საქმეს გვირგვინვენ, ყოველს ფერში მტრობას გვიწვევენ. ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი: „ავი ძალი არც თვითონ სჯამსო და არც სხვას აქმევსო.“ საღმრთო წერილი კიდევ ამბობს: „თქვენ არ შეხვალთ და შემაველთაც აყენებთ.“

ინგილო.

### პოლიტიკა.

შრანსია. ზაზეთში „Journal de Paris“ იენის სწერენ: „რუსეთის იმპერატორი სამშაბათს წაიღია ძლიერს მუხუჭუმის სანახათ. სტუდენტების გროვა შესავალთან იდგა და როცა იმპერატორი მოვიდა, შეწყვირა იმას: Vive a Pologne! (ღმერთმა პოლმა ადღევრძელოს!) ძლიერს მუხუჭუმის იმპერატორი იუსტიციის სასახლისკენ გაემგზავრა. როცა ის აქ ეკიპავიდან ჩამოხდა, იმას ხმა-მალლა შესძახა Vive la Pologne! ერთმა გროვა ხალხმა, რომელშიაც ერთი აღვოკატი, სამაჯულო ფორმაში ჩაცმულნი. იმპერატორს კიდევ არ შეუხედავს იუსტიციის სასახლეში, უცებ უკან გამობრუნდა და გასწია Sainte Chapelle-ისაკენ, სადაც იმხარითვე მანაფესტაცია მოხდა. იმპერატორი შევიდა თუ არა ამ შენობაში, მაშინვე უკან გამობრუნდა და წაიდა საპროკურატორის (Consiergerie) სანახადა. ზაზეთი France მოიყვანს რა ამ შემოხსენებულს სტრიქონებს, თან ამას დაურთავს: „ზოგიერთი ვაზეთები ამ ამბავს აგრეთვე მოგვითხრობენ და ჩვენგან მიღებული ცნობებიც სრულიად გვიმტკიცებენ იმას, რაც ზემოთ იყო მოხსენებული. მართალია, ძლიერს მუხუჭუმში და იუსტიციის სასახლეში რუსეთის იმპერატორს შესძახეს: Vive la Pologne, მაგრამ ესეც უეჭველია, რომ ამ მანიფესტაციებს კერძობითი მნიშვნელობა ჰქონდათ, ასე რომ იმათ არას გზით არ შეუძლიათ შესცვალონ მნიშვნელობა იმ შესანიშნავის მიღებისა, რომელიც პარიზელებმა შრანციის და იმის იმპერატორის დიდებულს სტუმარს მიავეს. მკვი არ არის, რომ შრანციუხებს ცხოველი და მსურვალე თანაგრძნობა აქეთ პოლშიადა, მაგრამ ვინ არ დაგვეთანხმება ამში, რომ ახლა დრო არ იყო ზემოხსენებულის მანიფესტაციისა, რომელსაც უფრო მტრული პროტესტის ხასიათი მიეწერება, მინამ მოწოდება სულგრძელეებისადმი.“

— ზაზეთი Patrie მოგვითხრობს შემდეგს დაწერილებითს ცნობებს ბერეზოვსკის ბოროტ—განზრახულებებზედ: „ჩვენ მივიღეთ მრავალი დაწერილებითი ცნობა იმ გარემოებაზედ, რომელიც მოხდა ბოროტ—განზრახულების წინ, აგრეთვე დამნაშავეს ეინაობაზედ და მისგან მოკვმულს ჩვენებებზედ. ამ ცნობებს ისე გადავცემთ მკითხველებს, როგორც ჩვენამდის მოაწია. დამნაშავე არის მტკოვრები პოლინის გუბერნიისა, საიდგანაც ის ორის წლის წინათ გამოვიდა; ის არის 18 წლისა. შრანციაში იმან ისწავლა მესხანკოსის ხელობა და ფაბრიკებზედ მუშაობდა. 4 მაისს იმან მუშაობას თავი დაანება და ამას შემდეგ წინათ შენახული ფულით ცხოვრებდა; გარდა ამისა იმას ეძლეოდა თვეში 35 ფრანკი (ცხრა მანეთამდის) სუბსიდიასავით, რომელსაც

ყველა პოლშის ემიგრანტებს აძლევს შრანციის მმართველობა. როცა ბერეზოვსკის ჰკითხეს: „რა გვართ მოუეიდა იმას ის აზრი, რომ რუს ხელმწიფე მოჰკლას?“ ბერეზოვსკომ უპასუხა: „მე ამას ვეფიქრობდი იმ დღიდან, როცა იმპერატორმა პარიზში მოსვლა განიზრახა.“ — სამშაბათს, როდესაც რუს ხელმწიფე დიდს პარიზის ოპერაში წაიდა, ბერეზოვსკიმ იმპერატორი დაინახა. ბერეზოვსკიმ გაიგონა ძახილი: „ღმერთმა პოლმა ადღევრძელოს,“ მაგრამ ამ ძახილში იმას მოწინააღმდეგეობა ირ მიუღია. ამ დროდგან იმან განიზრახა ხელმწიფის მოკვლა. მთხშაბათს დილას სევასტოპოლის ბურველზედ ერთს მეთარაღესაგან ბერეზოვსკიმ ერთი ორ—ლუღიანი დამბაჩა ცხრა ფრანკით იყიდა. საღამოს მაგრა გატენა დამბაჩა და მეორე დღეს ხელმწიფის შეიქმნა საათზედ ადგა. მალე ტანი-სამოსი ჩიცვა და სახლიდან გამოვიდა. ბატონილი დამბაჩა იმან ჯიბეში ჩაიღია. შემდეგ ბერეზოვსკიმ მსუბუქი საუხზე კამა, სახელდობ ქერის პური, ერთი ნაჭერი მძებნი და ამასთან ნახევარი ბოთლი ლეინოც დალია. დანარჩენი ლეინო იმან პატარა შუშაში ჩაასხა, შალერის ჯიბეში ჩაიღია და ნელ-ნელა ბულონის ტყისაკენ გასწია. „მე მინდოდა მესროლა იმპერატორს ალექსანდრესათვის იმ დროს, როცა ის ჯარის გასაშინჯავათ მიდიოდა,—სთქვა ბერეზოვსკიმ; მაგრამ მე არ ვიცოდი, ის რომელი გზით წაიდა და ამის გამო არ ვიცოდი, რა ადგილს დამდგარიყავი.“ როცა ჯარის გაშინჯვა გათავდა, ბერეზოვსკიმ შეიქცა, რომ იმპერატორები იმ გზით დაბრუნდებიან, სადაც კასკადი არის. ბერეზოვსკი ჯვარდინა გზაზედ დადგა ხალხის წინ. იმ წამს, როცა ბერეზოვსკის დაუპირდაპირა კარეტა, რომელშიაც იმპერატორები ნაპოლონი, ალექსანდრე და ორი დიდი მთავრები ისხდნენ, ბერეზოვსკი ხალხიდან გამოვიდა; იმას ორივე ხელებით დამბაჩა ეჭირა და ორივე ჩახმახის ფეხებზედ თითები მოკიდებული ჰქონდა. ამ დროს შტალომისტერმა ჩენბომ დაინახა, რომ ვიღაც ხელ—აშვერილი კაცი კარეტისაკენ მიეშურებოდა; იმას ეგონა, რომ ამ კაცს არზის მირთმევა უნდოდა. ახალგაზდა შტალომისტერი თითონვე აღიარებს, რომ ის მაშინ სრულებით არ ფიქრობდა, რომ ამ გვარის ბოროტ—მოქმედების ასრულებას ჩაშლიდა. ჩენბომ ჰკრა დეზი თავის ცხენს, რომელიც მკვლელისაკენ გაექანა. იმ წამს, როცა ცხენის თავი ბერეზოვსკის შეებო, ამ უკანასკნელმა ორივე ჩახმახი დააცემინა... დამბაჩამ კარგა ხმა მალლა დაიგრილა. ჩენბომ ცხენი თავში დაიჭრა და ყალბზედ შედგა. ამ ცხენის სისხლი კარეტას გადაესხა. სხენი მკარე დღესვე მოკვდა.— როცა იმპერატორმა ნაპოლონმა შენიშნა, რომ დიდს მთავარს მლაღიმირს სისხლი ჰქონდა გადასხმული, სწრაფად ჰკითხა მას: „მთავრო! მქვენ სისხლით გასერილი ხართ!.. ხომ არ დაჭრილხართ?“ — „არა, ხელმწიფეო.— მქვენა?“ — მართლაც ნაპოლონის მუნდირი ისე იყო სისხლით გასერილი, როგორც რუს—ხელმწიფის და მემკვიდრის. მაშინ შტალომისტერმა პირებმა შენიშნეს, რომ მთელი კარეტა სისხლით მოსერილი იყო, დაჭრილიც არაიენ იყო. მს სულ რამდენისამე მინუტის განმავლობაში მოხდა. როცა ნაპოლონმა გამოუცხადა ხალხს, რომ არაიენ დაჭრილა, კარეტამ წინ გასწია. ამ დროს ხალხი მიესია მკვლელებს, რომელიც სრულიად უწინააღმდეგოთ დამორჩილდა, ბერეზოვსკის მარცხენა ხელი სისხლით იყო გასერილი. მღრ დამბაჩის ლულებთან ერთი გასქდა და მოსწყვიტა დამნაშავეს ცერის და სალოკავი თითის პირველი სახსრები. დამბაჩა მიწაზედ დაეცა. ხალხი ძალიან გაჯავრდა, ისე რომ დამნაშავე ძლიერდა გამოჰკლიჯეს ხელიდან პატიოსანს მოქალაქეებს, რომელთაც უნდოდათ პირველი გაჯავრების დროს მისი ვალახვა. სამუ-

ნიციპალო მკვლელებმა როგორც იქნა ხელში მოიგდეს ბერეზოვსკი, ნაჭირაგებ [ხელმწიფის] ჩასვეს და ისე მიიყვანეს პოლში [ქვეყანაში].  
დამნაშავე ბერეზოვსკის პირველი ჩაგდება: „ჩემი სახელი და გვარი ანტონ ბერეზოვსკი არის. მე ვარ ოცის წლისა. რუტესკში დაგებდებულვარ. ხელობით მესხანკოსი ვარ. უკანასკნელის არეულობის გამო მე დატოვე რუსეთი და ვადმოვსახლდი პარიზში, სადაც მე აი ეს ორი წელიწადია, რაც ვიმყოფები. არეულობის შემდეგ ჩემი სახლობა გადასახლდა შინა გუბერნიებში. მე ვალვიარებ, რომ დღეს იმპერატორს ვესროლე. მღრ კვირის წინათ მე მომივიდა აზრი ხელმწიფის მოკვლისა. მაგრამ ეს აზრი მე უფრო იმ დროდგან მომივიდა, როდესაც ვიცან ჩემი თავი და მქონდა სახეში მამულის განთავისუფლება. მს ჩემი განზრახვა მე არავისთვის მიუთქვამს და მარტო ერთი წავედი პარადში. დამბაჩა მე გუშინ ფიქრად ნაშუადღევის ორსან სამს საათზედ სევასტოპოლის ბურველზედ, მივეცი ცხრა ფრანკი. მე მქონდა ცოტადენი წინათ შეძინებული ფული; გარდა ამისა გუშინვე დავაგირავე ლომბარდში (Mont-de-Piété) პალტო, რომელშიაც მე მომიცეს რვა ფრანკი. დღეს დილის შეიქმნა საათზედ ავდექი, მე თვითონ ჩამოვასხი ტყვიები, რადგანაც ნასყიდები მეტად პატარები იყვნენ. დღეს დილას მე არაიენ მიხახავს. როცა ჩამოვასხი ტყვია, მე წავედი დასანაყრებლათ და შემდეგ გავესწიე მლისეს მინდვრებში. მე ვერ შეგებდი იმპერატორს ალექსანდრეს და ამისთვის ვარჩიე აქ დავრჩომილიყავ და მომეცა დანა, მინამ იმპერატორი გამოვიღია. როდესაც იმისი კარეტა მე დამიპირდაპირდა, გვისროლე დამბაჩა. ამ სამი დღის წინათ, საღამოზედ, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი ოპერაში იყო, მე დავაპირე იმისი მოკვლა, მაგრამ დამბაჩა არა მქონდა. მე დიდხანს ვუტყუროდი იმპერატორს, რომ ის შემდგომ მეცნა.“

მხსიპა. „მენის ზაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფი, გამოგზავნილი მაშინგტონიდან 19-ს (31) მაისს.

ტელეგრაფი უცებ რესპუბლიკელებმა აიღეს 3 (15) მაისს. იმპერატორი მაქსიმილიანე ქალაქის ზემო ნაწილში გაიქცა. არტილერიის ცეცხლმა აიძულა, რომ დამორჩილებულიყო გენარლებითურთ მესია და ძახტილია-ი-ძოს. მსკობდოს დეპეშა 4 (16) მაისიდან არის. მანამდის არავითარი ძალდატანება არ ყოფილა. ხუარესს გაუცია ბრძანება, რომ მენიკიამ გაისტუმრონ 600 უცხო ქვეყნელები, რომელნიც ტყვეთ შეიპყრეს პუებლოში. ამერიკის მმართველობა თხოულობს, რომ იმპერატორი მაქსიმილიანე ტყვეობიდან განათავისუფლონ და საშუალობა მისცენ, რომ მენიკიამ დაუბრკოლებლად გავიდეს.

ბ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ მ მ ი, პეტერბურგში მიღებული.  
მენა, 23 მაისს (4 ივნისს)—დღეს პეტრიის დეპუტატ-პალატის შეყრილობაში პირველმა მინისტრმა ბარონმა ბეისტმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენა თავისი პოლიტიკის საფუძვლები. მინისტრმა გამოთქვა ის აზრი, რომ პეტრიის ვერ მოიპოვებს მტკიცე გავლენას სხვა სახელმწიფოებზედ და არც კრედიტი ექმნება, თუ შენგრიას არ დაეთანხმა. შემდეგ ამისა ბარონმა გამოთქვა თავისი მწუხარება იმაზედ, რომ პეტრიის სლავიანებს არ უყვართ ისა, რომ იმათი დაკმაყოფილება მაშინ შეიძლება, როდესაც იმათ პეტრიის რეინსტრუქტივი შეეძლებათ თავისუფლად ლაპარაკი. როდესაც პეტრიის შინაგანი მდგომარეობა იქნება მშვიდობიანი და ყოველი შფოთი მოისპობა შიგნით სახელმწიფოში, მაშინ მმართველობა და რეინსტრუქტივი მიექცევენ დიდს ყურადღებას სხვა სახელმწიფოებს, რომელთაც ჰსურთ ჩვენი სახელმწიფო შეარყიონ.



პარიზი, 24 მაისს (5 ივნისს). პრუსიის კაროლი მოვიდა რკინის გზით პარიზის სტანციაში 4 საათზედ ნაშუადღევს. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატორი ნაპოლეონი წავიდნენ სტანციაში კაროლის მისაგებებლად.

პარიზი, 25 მაისს (6 ივნისს). ანტონ ბერეზოვსკი წავიდა. რომელსაც უნდოდა ხელმწიფის მოკლა, მივიდეთ შემდგომი ცნობები: როდესაც ხელმწიფე იმპერატორი შევიდა ბულონის ტყეში, პოლშელმა ესროლა დამბა ხელმწიფეს, რომელიც იჯდა ეკიპაჟში და რომელთანაც ისდნენ ორი იმისი შეილი და იმპერატორი ნაპოლეონი. დამბა ორი სროლა წამლით იყო გატენილი; ამისგან ის გასქდა და პოლშელს ხელი მოამტვრია. შემდეგ ამისა დამბა შეეჩინა ჩამოვარდა ხიდგანა, რომელზედაც იყო და დაიყვინძა: „ღმერთმე პოლშელს გაუმარჯოს!“. არავინ დაჭრილა. ხალხმა შეიპყრა დამბა და დიდს სიხარულით მიულოცა ხელმწიფეებს. მრევლს იმპერატორებმა მისეს მინდრები გაიარეს. ნაპოლეონმა, დაბრუნების შემდეგ, გამოაცხადა ხელმწიფე იმპერატორი ნაპოლეონი გამოვიდა სასახლიდან, მას დიდს აღტაცებით მიულოცა ხალხმა.

ათინა, 20 მაისს (1 ივნისს). მკერფაშა შეესია ძანდის აღმოსავლეთის მარჯებს. მაგრამ დამარცხდა. ამისგან ის უკუ-მიიქცა და მიამუშა ძანდის ცხეს, სადაც იმას შეეცაქნენ განდგომილები. ზანდგომილებს უწინამძღვრებდა პორონოსი; იმით მკერფაშა უკუ მიიქცეს. რეზიდ-ფაშა გამოეშურა მკერფაშას მისაშველებლად, მაგრამ დიდად დაზარალდა. იმას შემოხვდა ერთი განდგომილების რაზმი, რომელსაც პეტრეოლაკი უწინამძღვრებს. ამ რაზმმა დიდად დაზარალა რეზიდ-ფაშა. მამად-ფაშას პაკორონოსის მხარაში განდგომილები შემოერტყნენ და შეუტყეს ზღვისკენ გზა. ამ მოკლე დროში ძანდის კუნძულზედ მოვიდნენ ეოლონტები და განდგომილები გააძლიერეს.

კოსტანტინოპოლი, 23 მაისს (4 ივნისს). სულთანის წასასვლელი დრო დანიშნულია 10 (22) ივნისს, მაგრამ, როგორცა სჩანს, ის უფრო ადრე წავა. სულთანი ცოტას ხანს დაჰყოფს სიცილიაში და ნეაპოლში, სადაც ის მიეტარა—მმანუელსა ნახავს. ბუშინ ანგლიის ელჩმა ლორდმა ლიონსმა გამოუცხადა სულთანს, რომ კაროლევა დაუთმობს იმას თავის სასახლეს. მსმალეთის მმართველობა იმედოვნებს, რომ სულთანის წასვლა სასარგებლო იქნება იმ მხრით, რომ ის დაიმეგობრებს მეროპის სახელმწიფოებს და იმათის შემწეობით რუსეთის წინააღმდეგ იმოქმედებს. ზოგიერთებმა კიდევ შენიშნეს, რომ უცხო ქვეყნის მინისტრი, შუად-ფაშა დიდს პატივსაცემს შრანციის ელჩსა. პორტა მოელოდებოდა, რომ მკერფაშა სფაქიანდ გაილაშქრებდა, მაგრამ ის ძანდიაში წავიდა. ამბობენ, რომ სფაქიანში 18 ათასი განდგომილი შეგროვდა ერთად; მკერფაშა აბრებს—განდგომილები შიმშილით შეაწუხოს და ისე დაიმორჩილოს.

პარიზი, 26 მაისს (7 ივნისს). დღეს სჯულის-დამდების კრების პრეზიდენტმა განსა შეყრილობა შემდეგი სიტყვებით: „ბუშინ, როდესაც ჩვენმა სახელმწიფომ არამიმ განაკვირვა თავისი უკეთესი გაწყობილებით ხელმწიფეები და ხალხი, უცხო-ქვეყნელმა მოახდინა დიდად საზოგადოებრივი საქმე, მაგრამ შენაესის ძალით ბოროტ-მოქმედება უძლიერი შეიქმნა. მაგრამ, ღრმა სიძულილის გამოტყმით დამნაშავესადმი და პატივსაცემელი თანაგრძობით შრანციის და იმპერატორის დიდი სტუმრებისადმი მე ყველაზედ უკეთესად გამოვაცხადებ ჩემის სამშობლოს პატიოსანს და კეთილშობილურს გულისთქმას და წადილს“.

ამ სიტყვებზედ შეყრილობაში შეიქნა გატყმული ტაშის კვრა.

პარიზი, 26 მაისს (7 ივნისს). დღეს დილით რუსის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისი გადიხადეს, რომელზედაც დაესწრნენ რუსეთის იმპერატორი, იმპერატორი ნაპოლეონი, იმპერატრიცა მეგენია, პრუსიის კაროლი. შეელა რუსები აღტაცებულნი არიან. ისინი შეიყარნენ ეკლესიაში პარაკლისის დაწყების წინათ, რომ გამოეცხადებინათ მისის უდიდებულესობისადმი თავისი ერთგულ-ქვეშევრდომობითი გრძობანი.

პარიზში ყოველგან აცხადებენ ღრმა და საზოგადო სიძულილის დამნაშავესადმი. შოკლის მხრიდან იგზავნება უმრავლესი გამოცხადებები სიხარულისა და მადლობისა ზანდებისადმი.

მენა, 27 მაისს (8 ივნისს). აფიციალურა მენის მახეთში დღეს გამოცხადებულია იმპერატორის რესკრიპტი იუსტიციის მინისტრის სახელობაზედ. მს რესკრიპტი გამოვიდა იმ შემთხვევისა განა, რომ აესტრიის იმპერატორი მენგრიის კაროლათ უნდა დაგვირგინდეს. ამ რესკრიპტით განთავისუფლდებიან ისინი, ვინც დასჯილნი იყვნენ ხელმწიფის და იმის სახლობის შეურაცხყოფისათვის. ზარდა ამისა განთავისუფლდებიან 454 კაცი, რომელიც სამართლის გადაწყვეტილობით საპრობილეში იმყოფებიან. ამ განთავისუფლებულს არესტანტებს საპრობილედ-გან დაგვირგინების დღეს გამოუშვებენ.

პეზი, 27 მაისს (8 ივნისს). ზარბაზნის სროლამ დიდს მეოთხე საათის ნახევარზედ გვაუწყა, რომ დღეს მოხდება აესტრიის იმპერატორის შრანცი-იოსების მენგრიის კაროლათ დაგვირგინება. ჭეხებში გამოჩნდა გახარებული ხალხის გროვა. მენგრიის სემის დეპუტატებს შეყრილობაში სახლობო მუნდირები ეცვათ. დეპუტატთა-პალატის პრეზიდენტმა განსა შეყრილობა დილით ექვსი საათის ნახევარზედ შემდეგი სიტყვებით: „მხლა დაგვირგინებაზედ წაიღეთ იმ გულოთადის წადილით, რომ დღევანდელმა დღემ მოუტანოს რაც შეიძლება მომეტებული ბედნიერება როგორც მათ უდიდებულესობაებს, ისე მამულსც.“ ამ სიტყვებს აღტაცებულმა დეპუტატებმა შესძახეს: „ელიე!“ (ვენგრიულად ურას ნიშნავს). მშენიერი ტაროსი დგას.

საკარნაციო პროცესია ეს არის გათავდა. დიდებული დღესასწაულობა ბრწყინვალეით შესრულდა. როცა იმპერატრიცა და მემკვიდრე პრინცი რუდოლფი, რომელთაც ვენგრიული ტანისამოსი ეცვათ, ლიდის ტერრასაზედ გამოჩნდნენ, ისინი ხალხმა აღტაცებით მიიღო. როცა მენგრიის კაროლმა, ზარბაზნის სროლის და ზარების რეკის დროს, საკარნაციო სერზედ ოთხი მხარისაკენ ხმალი გაიქნია, ხალხი იმ გვარ აღტაცებაში მოვიდა, რომ იმის აღწერა შეუძლებელია.

ათინა, 26 მაისს (7 ივნისს). ბუშინ მსმალეთის ფრევატები ბერძნის ცეცხლის გემს „არკადიონს“ დაეწივნენ და ზარბაზნის სროლა დაუწყეს. „არკადიონი“ დაიშალა ჩერი-გოს კუნძულში, სადაც ოსმალები იმას ვარს შემოერტყნენ. საბერძნეთის სამხედრო ფრევატი „მლოდა“ „არკადიონის“ მისაშველებლად გავზანეს. აქაურმა ელჩებმა დიდს სახელმწიფოებისამ თავიანთის მართებლობის სამხედრო გემებო ჩერიგოში გავზანეს.

კოსტანტინოპოლი, 25 მაისს (6 ივნისს) აქ დაიჭირეს ბევრი გამოჩენილი პირები, რომელნიც „ახალ მსმალეთის“ პარტიას ეკუთვნებენ.

ბაღდადის პროვიანციაში ვაიდებია გამოჩნდა. მთეცა ჯერ აფიციალური ცნობა არ არის, რომ ეს ნამდვილი ქირი (ქაში) იყოს, მაგრამ მსმალეთის მმართველობამ მიიღო საშუალება ამ სენის მოსასპობელათ.

პარიზი, 27 მაისს (8 ივნისს). ბერეზოვსკის გამოკითხვის დროს დაესწრნენ მინისტრები რუე და ბაროში და ჟანდარმების შეფო გენერალ-ადიუტანტი შუვალოვი. ბერეზოვსკი გამოატყდა, რომ იმას ხელმწიფის მოკვლის განზრახვა ჰქონდა და ამ აზრის ასრულება უნდოდა მას აქეთ, რაც მის იმპერატორების უდიდებულესობა პარიზში მოხდებოდა; სხვათა შორის იმას უნდოდა ამ საქმის მოხდენა იმ დროს, როცა მსმალში საპარალა სექტაკლი იყო. ბერეზოვსკიმ გამოაცხადა, რომ იმას ამ საქმეში თანამოზიარენი არა ჰყოლია. ბერეზოვსკის დამაზის გასროლის დროს შტალმეისტერმა რუმბომ ცხენით გაიარა ეკიპაჟის და დამნაშავეს შუა და ამ გვარათ ტყვიამ მიიღო სხვა მიმართულება. ტყვიამ რომბოს ცხენს ნესტო გაუხვრიტა, ასე რომ იმისი სიხსლი იმპერატორს ნაპოლეონს და დიდს მთავრებს გადაეხა. ხელმწიფე იმპერატორმა ჰქოთხა მემკვიდრეს: ხომ არ დასჯილობარო. იმპერატორმა ნაპოლეონმა ამ გვარიე კითხვა მისცა დიდ მთავარს პლადიმირ ალექსანდრეს ძეს და შემდეგ ამისა გამოაცხადა, რომ არავინ დაჭრილა.

ამბობენ, რომ როცა იმპერატორი ნაპოლეონი დაწმუნდა, რომ არც ხელმწიფე იმპერატორი და არც დიდი მთავრები არ დაჭრილან, უთხრა ხელმწიფე იმპერატორს: „მქენო უდიდებულესობა! ჩვენ ცეცხლში ერთათ ვიყავით“. ხელმწიფე იმპერატორმა ამანდ მიუგო: „ჩვენი სვე წეთის ზანდების ხელშია“.

დღეს დამის 11 საათის ნახევარზედ საქალაქო რატუმის ბალზედ მოვიდნენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატორი ნაპოლეონი ერთი კარვით, ხოლო იმპერატრიცა მეგენია და პრუსიის კაროლი მეორე კარვით. იმით მისდევდნენ ასის გვარდიელების და ულანების რაზმები. რატუმსთან ხალხი დიდი აღტაცებით მიეგება მათ უდიდებულესობაებს. პოლშელმა ემიგრანტებმა იმპერატორ ნაპოლეონს მიართვეს ადრესი, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ შესრულებულ დანაშაულობაზედ.

ბუშინ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო შრანციის მინისტრები; როცა იმათ შენიშნეს, რომ მისი უდიდებულესობა უამალოთ დასეირნობს, ხელმწიფე იმპერატორმა სიტყვა: „ხელმწიფეების სვე წეთის ზანდების ხელში“ და ამას დაუმატა: „მს ახლად მომხდარი შემთხვევა უფრო გამაგრებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ჩემსა, შრანციასა და იმის იმპერატორის შორის. ჩემთვის დაუფიწყარი იქნება ის თანაგრძობა, რომელიც შრანციის ხალხმა მე გამომიცხადა.“

ზაზეთში Droit სწერენ, რომ გამოძიება ბერეზოვსკის საქმეზედ ძალიან ჩქარა მიდისო, და ძალიან შესაძლებელია, რომ ეს საქმე გადიტანონო სენის სამსჯავროში ივნისის თვის მეორე ნახევარში (ახალი სტილით).

პარიზი, 27 მაისს (8 ივნისს). გამოძიებას ახალი არაფერი ამოუჩენია. მოსამართლეები ფიქრობენ, რომ ეს დანაშაულობა ერთი კაცის საქმე არისო და ამასი იმას თანამოზიარებები არა ვინ ჰყოლიაო. დამნაშავე ისე დაიჭრა, რომ იქნება ხელის მოჭრა და სტირდეს.

ნუ-იორკი, 26 მაისს (7 ივნისს). აქაურ გაზეთებში სწერენ, რომ მეხიკის რესპუბლიკელები ქვერეტროდგან გამოვიდნენ და თან წაიყვანეს დატყვევებული იმპერატორი მაქსიმელიანე.

პეზი, 29 მაისს (10 ივნისს). იმპერატორმა შრანცი-იოსებმა ყველა მენგრიის პოლიტიკურ დამნაშავეს მათი დანაშაულობა მიუტყვე; იმან აგრეთვე სასჯელისაგან გაათავისუფლა ყველანი, რომელთაც უდიდებულესობა შეურაცხვეს. შეელა მენგრიის ემიგრანტებს თავის მამულში დაბრუნების ნება მიეცათ.

რანტებს თავის მამულში დაბრუნების ნება მიეცათ.

ს ა ხ ა ზ ი ნ მ ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

(Закавказский Вѣстник № 43)

3) ძაქასიის ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში ამ წლის 26 ივნისს ხელმოკრეთ მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიყვამ ხაზმის მალაზის პრავიანტის დაქვე სამის წლის ვადით.

5) ბოზონსკი ბრენადერის პოლი მოუწოდებს პარს, რომელიც იჯარით აიღებს საკმელ—სამმელის დამზადებას პოლიკისა და რატებისათვის. მინც ამ იჯარის აღებას ისურვებს, ის უნდა მოვიდეს პირობის შესაკრვლათ ამ პოლის შტაბ—კვარტირაში აღბულაღს.

7) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით მთუთისის გუბერნიის სამმართველოში ამ წლის 18 სექტემბერს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს მთუთისის გუბერნიის მებატონებს ეკუთვნიან. მს მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) ტიტულიარნი სოვეტნიკო თ. სემიონ ლეთის ძემ აბაშიან—1,700 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული შორანის უფლებში, სოფლებში ნავარძეთს, ძაცხს და რეკიას და 2) აზნაურმა ბერი ლეთის ძემ ჩხეიძე—700 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული შორანის უფლებში ს. შუთს.

8) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 18 სექტემბერს მოხდება ტორგი გასასყიდათ ქეთიკრის შენობებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს ტელიისის მცხოვრებლებს ეკუთვნიან. მს სახლები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) სოლომონ ბიორგის ძემ სილომონიშვილმა—970 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში; 2) მღვდელმა ლიმიტრი პეტრეს ძემ იმნაძე—220 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში; 3) მასპარ სააკის ძემ სააკიამ—3,750 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 2 კვარტალში; 4) ხენო ზურაბის ძემ ნავტიკიამ—1,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 4 კვარტალში; 5) ლემელ მოშას ძემ ტროპამა—2,250 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 2 კვარტალში; 6) მღვდელმა ტერ—პრუთინ-მანაშას ძემ ჩიმიკიამ—1,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 4 კვარტალში და 7) აზნაურმა ივანე მაკარის ძემ შანჩაივამ—1,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი დუქნები 1 ნაწილის 1 კვარტალში.

9) ბარის უფლის სამსჯავროში ამ წლის 2 ოკტომბერს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს ბარის უფლის მებატონებს ეკუთვნიან. მს მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) შტაბს—კაპი-ცხანა თ. ლიმიტრი პეტრეს ძემ შირსაივამ (აწ ვადე-ცვალბულამა)—6,500 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სიბის—სოფელს და მუჯუხს; 2) პარუ-ჩიკმა თ. ალექსანდრე შანშეს ძემ შირსაივამ—4,100 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული აწრის—ხეს და ზნავს; 3) პოლიკონიკმა თ. შირსაივამ აველეს ძემ შირსაივამ—5,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. მედილანკარს და ბოსელთას; 4) პარუჩიკმა თ. ლიმიტრი შანშეს ძემ შირსაივამ (აწ ვადე-ცვალბულამა)—1,850 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. მგარებს; 5) კოლეგსკი სეკრეტარმა ლიმიტრი პოსტანტინეს ძემ მეღვინეზუტუ-სიშვილმა—1,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. ხიდსთავს და 6) პოლიკონიკმა თ. შირსაივამ შანშეს ძემ შირსაივამ—2,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული ს. მგარებს.

(Закавказский Вѣстник № 45).

27) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 19 ივნისს და შემდეგ დღეებში მოხდება აუქციონი გასასყიდათ ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასის ნივთებისა, რომელნიც დაგირავებულნი იყვნენ და რომელთაც ახლა ვადა გადუვიდათ.

კ ა რ დ მ ო ლ ი თ ი ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

სოფელსა მკერფაშაში ქირით მისაცემია საზოგადო სახლი, რომელიც ეკუთვნის ტატო ბაბაშვილს. მისაც სურს ამ სახლის ქირა შეიტყოს, იმან უნდა იკითხოს მერაზედ, მოსკოვის წასტავასათ, თით ბაბაშვილის სახლში.